

# 2025 წლის გაზაფხულის სეზონის მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტების მიმოხილვა

## მე-6 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი - სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან II ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია რიცხვთა დათვლის, სივრცული და ბრტყელი ფიგურების, მარტივი არითმეტიკისა და რიცხვთა მიმდევრობის თემატიკებზე.

### • ნაწილები, წილადები

- მოსწავლემ უნდა შეძლოს წილადებზე მარტივი მოქმედებების შესრულება, მათი შედარება და დახასიათება.

**მაგალითი:** რომელია მეტი,  $\frac{1}{2} + \frac{1}{5}$  თუ  $\frac{1}{3} + \frac{1}{4}$

A) ტოლია                      B)  $\frac{1}{2} + \frac{1}{5}$                       C)  $\frac{1}{3} + \frac{1}{4}$

### • რიცხვებზე მოქმედებები, განტოლების ამოხსნა.

- მოსწავლემ უნდა შეძლოს ნატურალურ რიცხვების რიცხვებზე გამრავლება ან გაყოფა, 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფადობის ნიშნების ცოდნა. ნაშთის პოვნა და რიგ შემთხვევაში მათი შედარება. ამ მოქმედებების საშუალებით განტოლების ამოხსნა.

**მაგალითი:** უდიდესი ორნიშნა რიცხვი, რომელიც იყოფა 3-ზე, ხოლო 5-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 2-ს, არის:

A) 87                                      B) 90                                      C) 97

### • სივრცული და ბრტყელი ფიგურები

- მოსწავლემ უნდა იცოდეს ზოგიერთი სივრცული და ბრტყელი ფიგურა და მათი თვისებები. უნდა შეძლოს ფიგურების ღერძული სიმეტრიისა და პარალელური გადატანის ამოცნობა.

**მაგალითი:** მაქსიმუმ რამდენი ბლაგვი კუთხე შეიძლება ჰქონდეს სამკუთხედს?

A) 1    B) 2    C) 3

### • დროის ერთეულები

- მოსწავლემ უნდა შეძლოს დროის ერთეულების ერთმანეთში გადაყვანა.

**მაგალითი:** რამდენი წამია საათში?

A) 3600                                      B) 7200                                      C) 5400